

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტს

31. 12. 2019



მოგესალმებით,

გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმში, აკაკი შანიძის ქუჩა №14-ში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე შპს „ბეთლემი-2011“-ს კუთვნილებაშია სამშენებლო მასალების დამამზადებელი საწარმო, სადაც ფუნქციონირებს ქვა-ლორდის გადამამუშავებელი, სასაქონლო ბეტონის დამამზადებელი და საკედლე ბლოკების საამქროები.

მიმდინარე პერიოდისათვის კომპანიის ადმინისტრაციის მიერ დაიგეგმა ხსენებული საწარმოს ტერიტორიაზე ცემენტის დამამზადებელი საამქროს ექსპლოატაციაში გაშვება, რომლითაც გათვალისწინებული იყო წელიწადში 20000 ტონა მარკა-„300“ და მარკა-„400“ პორტლანდცემენტის დამზადება-რეალიზაცია.

აღნიშნული საქმიანობის განხორციელებას წინ უძღოდა კომპანიის მიერ მომზადებული და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში განსახილველად წარდგენილი დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადება.

საწარმომ გაიარა სკრინინგის პროცედურა და სკრინინგის გადაწყვეტილების თანახმად (ბრძანება №2-534, 14.06.2019 წ) ის დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ყოველივე აქედან გამომდინარე დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შემუშავდა სკოპინგის ანგარიში, რომლის განხილვისა და შეთანხმების შემდეგ სამინისტრომ 2019 წლის 18 დეკემბერს მიიღო ბრძანება N2-1232 შპს „ბეთლემი-2011“-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული დაგეგმილი ტერიტორია მდებარეობს ქ. ბათუმში, ა. შანიძის ქუჩა №14ა-ში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 16456 კვ.მ-ის მიწის ფართობზე, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 05.35.27.139. ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-220135.00; Y- 4609090.00. წარმოდგენილი GPS კოორდინატების და საკადასტრო კოდის მიხედვით იდენტიფიცირებული ტერიტორიიდან აღმოსავლეთით ფიქსირდება დასახლებული ზონა. პირდაპირი მანძილი უახლოეს მოსახლემდე შეადგენს დაახლოებით 110 მ-ს. საპროექტო ზონიდან მანძილი ზედაპირული წყლის ობიექტამდე შეადგენს დაახლოებით 122 მეტრს.

მიმდინარე პერიოდისათვის ხსენებულ პროდუქტზე გაზრდილი მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომპანიის ადმინისტრაცია გეგმავს ცემენტის მწარმოებელი საწარმოს სიმპლავრეების გაზრდას, კერძოდ ნაცვლად გათვალისწინებული 20000 ტონისა საამქრო წელიწადში დაამზადებს 60000 ტონა მარკა-„300“ და მარკა-„400“ პორტლანდცემენტს, რაც უპირველეს ყოვლისა მიღწეული იქნება საწარმოს სამუშაო საათების გაზრდით, ანუ დაგეგმილია ხსენებული საამქროს მუშაობა განისაზღვროს 24 საათიანი, (3 სმენიანი) მუშაობის რეჟიმით, 310 სამუშაო დღეებით წელიწადში. რაც შეეხება საწარმოს